თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 12

2022 წლის 16 დეკემბერი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე **თინათინ ხანჯალიაშვილი**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ლევან ბერძენაშვილი, დავით ღაღანიძე, მიხეილ დაღუნდარიძე, ალექსანდრე შათირიშვილი, აბრაამ მახარიაშვილი, ნატალია ბახსოლიანი, ზვიად ხანჯალიაშვილი, გელა ესიტაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ბაადურ გულიაშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი**, არასამთავრობო ორგანიზაცია EECMD-ის თელავის ოფისის ხელმძღვანელი **გიორგი თავბერიძე**, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **ზურაბ ენუქიძე.**

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

მომხს. თ.ხანჯალიაშვილი

მოისმინეს 1 თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** , რომ ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროს'' დაუსრულდა ქ.თელავში დავით რექტორის ქუჩაN8-ში მუნიციპალურ საკუთრებაში რიცხული შენობა-ნაგებობის პირველ და მეორე სართულზე თითოეულში 219,6კვ.მ. ფართის დროებით სარგებლობის არსებული ვადა. წინა პერიოდში მას პირნათლად აქვს შესრულებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები ფართის რემონტისა და მოვლა-პატრონობის მხრივ, ამასთან ერთად ის დარეგისტრირებული და ჩართულია სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციად, რომელთა გაგრძელებაც ხდება შემდგომ პერიოდში. პროექტები სასარგებლოა მოსახლეობის მიზნობრივ ჯგუფებისთვის.

თინათინ ხანჯალიაშვილმა დააყენა წინადადება საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის შესახებ.

თინათინ ხანჯალიაშვილის წინადადებას მხარი დაუჭირეს კომისიის წევრებმა.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა (ა) იპ ,,მოვუსმინოთ სამყაროსათვის'' პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

აზრი გამოთქვეს: **თინათინ ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ მერიამ ძირითადში გაითვალისწინა კომისიის წინა (22 ნოემბერი, 2022) სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები და შეიტანა შესაბამისი ცვლილებები ბიუჯეტის პარამეტრებში, თუმცა არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი მეწარმეობის განვითარების პროგრამისთვის საჭირო ფინანსირება.

ზურაბ სახიაშვილმა განმარტა, რომ მიმდინარეობს აღნიშნული პროგრამის შედგენის სამუშაოები, რომელთა დასრულებისთანავე შეტანილი იქნება ცვლილებები ბიუჯეტში.

ალექსანდრე შათირიშვილმა გამოთქვა მოსაზრება თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განხილვის თაობაზე.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილული იქნას საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე: თ. ხ. თინათინ ხანჯალიაშვილი